ჰორიზონტი ევროპა
საქართველოს ეროვნული ოფისი
გაფართოების სვეტი

ეროვნული ოფისის გაფართოების სვეტის ეროვნული საკონტაქტო პირი
პროფ. დოქტ. ნინო როდონაია

European Commission

რა არის ჰორიზონტი ევროპა?

ჰორიზონტი ევროპა კვლევისა და ინოვაციების დარგში ევროკავშირის ძირითადი დაფინანსების პროგრამაა, რომლის ბიუჯეტი 95,5 მილიარდი ევროა. აღნიშნული თანხა, შვიდი წლის განმავლობაში — 2021-2027— გრანტების სახით დააფინანსებს სამეცნიერო-კვლევით აღმოჩენებსა და ინოვაციებს

European Commission



ჰორიზონტი ევროპა და გაფართოება

მონაწილეობის გაფართოება და კვლევის ევროპული სივრცის გაძლიერება

WIDENING PARTICIPATION AND STRENGTHENING THE EUROPEAN RESEARCH AREA

Widening participation & spreading excellence	Reforming & Enhancing the European R&I system

მონაწილეობის გაფართოებისა (Widera) და ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) გაძლიერების ორი ძირითადი კომპონენტი:

I: მონაწილეობის გაფართოება (Widera) და Excellence-ის გავრცელება და

II: ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) გაძლიერება ევროპული კვლევისა და ინოვაციების (R&I) სისტემის რეფორმირებისა და სრულყოფის გზით

Widera — ბიუჯეტი — 284000000 ევრო

ERA - ბიუჯეტი — 2022: 46.6 მილიონი ევრო

რა არის და რას აკეთებს ERA ევროკავშირის შიგნით?

ERA არის ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს 20 ძირითად პრინციპს - ღირებულებას. სწორედ ეს პრინციპები უნდა წარმოადგენდნენ ჰორიზონტი ევროპის ნებისმიერი კონკურსისთვის საფუძველს/შთაგონებას/ინსპირაციას :)

ERA-ს პრინციპების დანერგვის დინამიკა:

2020 — ყურადღება გენდერული თანასწორობის თემაზე

2021 — სავალდებულოა გენდერული თანასწორობის გეგმა (GEP), მაგრამ არა შეტანის მომენტში

2022 — სავალდებულოა შეტანის მომენტშივე

ERA შექმნილია:

- ევროპის კვლევისა და ინოვაციების ლანდშაფტის გასაძლიერებლად
- პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამოსასვლელად
- ევროკავშირის მასშტაბით მკვლევართა რესურსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად
- მკვლევართა მობილობის გასაძლიერებლად

გაფართოებისა და ერას კავშირი

ჰორიზონტი ევროპის გაფართოების ქმედებები მიმართულია იმ ევროკავშირისა და ასოცირებულ ქვეყნებს (მაგ.საქართველოს), რომელთაც მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ თავიანთ კვლევებსა და ინოვაციებში,

ხოლო

ERA-ს ქმედებები მიზნად ისახავენ, თვითონ ევროპული კვლევისა და ინოვაციების სისტემის რეფორმირებას და გაძლიერებას.

R&I პაქტი — ERA პრინციპების შესაბამისია

ის ადგენს კვლევის ღირებულებებსა და პრინციპებს, როგორც ევროპული სივრცის შიგნით,

<u>ისე,</u>

<u>განსაზღვრავს ევროპის მსოფლიოსთან ურთიერთობის თავისებურებას და ხასიათს</u>

R&I - კვლევისა და ინოვაციების პაქტი - 2021 წლის 26 ნოემბერი

- “R&I პაქტი განსაზღვრავს ევროპაში კვლევისა და ინოვაციის საერთო ღირებულებებსა და პრინციპებს, როგორიცაა სამეცნიერო კვლევის თავისუფლება და მკვლევართა და ცოდნის თავისუფალი მიმოქცევა.”

https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_21_6270

გაფართოების ქვეყნები

Bulgaria, Croatia, Cyprus, Czech republic, Estonia, Greece, Hungary, Latvia, Lithuania, Malta, Poland, Portugal, Romania, Slovakia, Slovenia
and
all associated countries with equivalent characteristics in terms of R&I performance and the Bulgaria, Croatia, Cyprus, Czech republic, Estonia

გაფართოების სვეტის 2023-2024 წლების პროგრამა

გაფართოების მიმართულების 3 მიზანი
მიზანი I: ბრწყინვალებაზე წვდომის გაუმჯობესება

- სტრუქტურული ცვლილებები — მოდერნიზებული/კონკურენტუნარიანი R&I სისტემებისთვის;
  - რეფორმირებული R&I სისტემები, რითაც ხელს ვუწყობთ კვლევითი ნიჭის მოზიდვას და შენარჩუნებას;
    - სტრატეგიული ინვესტიციებისთვის ეროვნული და ევროპული რესურსების მობილიზება;
      - ჰორიზონტ ევროპაში მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდა;
        - უფრო ძლიერი კავშირი აკადემიასა და ბიზნესს შორის;
      - უმაღლესი განათლების სექტორის როლის გაძლიერება R&I;
    - რეგიონალური აქტორების მეტი ჩართულობა R&I პროცესებში;
- წვდომის გაუმჯობესება საერთაშორისო მასშტაბით ყველა აქტორისათვის.

მიზანი I: წარჩინებაზე წვდომის გაუმჯობესება — კონკურსები

- Teaming for Excellence - გაერთიანება წარჩინებისთვის (Excellence-თვის)
- Twinning - ტვინინგი
- Excellence Hubs - წარჩინების (Excellence) გამოცდილების მქონე ცენტრები
- European Excellence Initiative for Higher Education Institutions - ევროპული წარჩინების გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისთვის
- Hop-on facility - ჰოპ-ონი
- Dissemination and Exploitation Support Facility - გავრცელებისა და გამოყენების მხარდაჭერის შესაძლებლობები

Coordination and Support Action

Teaming for Excellence-გაერთიანება წარჩინებისთვის

კონკურსის გამოცხადება: 10 იანვარი, 2023

1 დედლაინი: 12 აპრილი, 2023, ბრიუსელის დროით 17:00
2 დედლაინი: 07 მარტი, 2024, ბრიუსელის დროით 17:00

საერთო ბიუჯეტი — (მიახლოებით) 174 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 8-15 მილიონი ევრო

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 18
პროექტის ხანგრძლიობა: 6 წლამდე

კონსორციუმი:

მინიმუმ ორი ბენეფიციარი: ა) ძირითადი ორგანიზაცია — აპლიკანტი (კოორდინატორი), რომელიც არის ვაიდენინგის ქვეყნიდან უნივერსიტეტი ან კვლევითი ცენტრი ან ეროვნული ან რეგიონალური ავტორიტეტი ან ფონდი, რომელიც კვლევას აფინანსებს ბ) პერსპექტიული პარტნიორი ასოცირებული ქვეყნიდან — უნივერსიტეტი ან კვლევითი ცენტრი

მოსალოდნელი შედეგები

კოორდინატორი ინსტიტუციისა და მასპინძელი ქვეყნის სამეცნიერო შესაძლებლობების **გაფართოება**, რაც საშუალებას მისცემს კოორდინატორს და ამ ქვეყნიდან სხვა პოტენციურ ერთეულებს წარმატებით შეიტანონ განაცხადი დაფინანსების მოსაპოვებლად ევროკავშირსა და მთელს მსოფლიოში;

გააუმჯობესოს კოორდინატორი ქვეყნის კვლევისა და ინოვაციის კულტურა Excellence ცენტრების, როგორც მისაბაძი მოდელების, მეშვეობით;

ეროვნულ დონეზე ინსტიტუციური და სისტემური რეფორმებისა და კვლევისა და ინოვაციების ინვესტიციების სტიმულირება;

გაძლიერებული და **ორივე მხარისთვის** მომგებიანი თანამშრომლობა უცხოეთის წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუციებთან

კვლევის ახალი მიმართულებების შემუშავება და პოპულარიზაცია შესაბამის სფეროებში;

განვითარებული და გაძლიერებული კვლევითი და ინოვაციური შესაძლებლობებიsa და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა;

გაძლიერებული თანამშრომლობა და სინერგია სხვა ევროპულ პროექტებთან.

European Excellence Initiative for Higher Education Institutions - ბრწყინვალების ევროპული გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისთვის

კონკურსის გამოცხადება: 10 იანვარი, 2023
დედლაინი: 12 აპრილი, 2023, ბრიუსელის დროით 17:00

საერთო ბიუჯეტი — 54 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 2-5 მილიონი ევრო
20 პროცენტი აქდან შეიძლება დაიხარჯოს კვლევასა და ინოვაციაზე

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 10-20

კოორდინატორი: ვაიდენინგის ქვეყნიდან

ბრწყინვალების ევროპული გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისთვის

ეს გრანტი მიმართულია: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბრწყინვალების შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ეკოსისტემების განვითარებაზე, კონსორციუმის წევრებს შორის თანამშრომლობის ინტეგრირებაზე, ინსტიტუციურ რეფორმებზე, მომავლის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაზე, სადაც გაერთიანებულია განათლება და კვლევა, ადგილობრივი და რეგიონული ინვესტიციების მობილიზებაზე, საერთაშორისო ტალანტებისთვის მიმზიდველობის გაზრდაზე.

მოსალოდნელი შედეგები

წარმატებული ინსტიტუციური რეფორმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლება კვლევისა და ინოვაციის სფეროში, ინსტიტუციებს შორის და ასევე, ადგილობრივ ეკოსისტემებში სხვა აქტორებთან ინტეგრირებული თანამშრომლობით;

მეცნიერებაში ბრწყინვალების კულტურისა და ღირებულებათა შექმნა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში, განსაკუთრებით კი ნაკლები კვლევითი ინტენსივობის მქონე ინსტიტუციებსა და ქვეყნებში და განსაკუთრებით გაფართოების ქვეყნებში, უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების გეოგრაფიულად ინკლუზიური ალიანსების კონსოლიდაციის გზით, გრძელვადიანი თანამშრომლობის მიღწევით;

კვლევისა და ინოვაციის სფეროში დაჩქარებული ინსტიტუციონალური რეფორმისა და უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში კვლევისა და ინოვაციის შესაძლებლობების განვითარებაში წვლილის შეტანა, განსაკუთრებით მოიაზრებიან გაფართოების ქვეყნები;

უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორში განვითარებული კვლევითი კარიერა, რომელიც თავსებადია სხვა სექტორებთან;

უმაღლესი განათლების სფეროში ERA-ს შესაბამისი პოლიტიკის შესაბამისი ქმედებების განხორციელებაში წვლილი.

Twining: a) Bottom-Up

კონკურსის გამოცხადება: 25 აპრილი, 2023
დედლაინი: 28 სექტემბერი, 2023

საერთო ბიუჯეტი — 113 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 0,8-1,5 მილიონი ევრო

კვლევითი კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30%, აქედან მინ. 50% ეკუთვნის კოორდინატორს

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 80 პროექტი
ხანგრძლიობა-3 წელი

კონსორციუმი: მინიმუმ ორი place-based R&I ეკოსისტემა ორი სხვადასხვა გაფართოების ქვეყნიდან. თითოეული ეკოსისტემა უნდა იყოს წარმოდგენილი ოთხი სხვადასხვა კატეგორიის აქტორის მიერ. შესაძლებელია იყოს როგორც ქოლგა ორგანიზაცია ანუ უკვე არსებული კლასტერი, ისე ინდივიდუალური ორგანიზაცია თითოეული ოთხი კატეგორიიდან. კოორდინატორი: ინსტიტუცია გაფართოების ქვეყნიდან + 2 მაღალი კლასის ევროკავშირის დონეზე აღიარებული ინსტიტუცია წევრი ან ასოცირებული ქვეყნიდან.

Bottom up - ძირითადი მოსალოდნელი შედეგები

ქსელური საქმიანობის გაფართოება ვაიდენინგის ქვეყნების კვლევით ინსტიტუტებსა (კოორდინატორები) და ევროკავშირის დონეზე მოქმედ უმაღლესი კლასის წამყვან პარტნიორებს შორის, რომლის ფარგლებში მოხდება დაკავშირება მინიმუმ ორ კვლევით ინსტიტუტთან ორი განსხვავებული წევრი სახელმწიფოდან ან ასოცირებული ქვეყნიდან. ის ეყრდნობა ქსელების უზარმაზარ პოტენციალს, რათა კვლევით ინსტიტუტებსა და პარტნიორებს შორის მიღწეულ იქნას სრულყოფა ცოდნის გადაცემისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით. Twinning-აქციების დანიშნულებაა გაფართოების ქვეყნის ინსტიტუტის კვლევითი პროფილის, ისევე როგორც მისი პერსონალის კვლევითი პროფილის გაუმჯობესება

Bottom up

Twinning-ის ფროფოუზალში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სამეცნიერო სტრატეგია სამეცნიერო წარჩინებისა და ინოვაციური შესაძლებლობების ამაღლებისა და სტიმულირებისთვის, კვლევისა და ინოვაციების კონკრეტულ სფეროში, ასევე Twinning-ში ჩართული პარტნიორების სამეცნიერო დონის განვითარებისთვის. ეს სამეცნიერო სტრატეგია უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს არჩეულ კვლევის სფეროში ახალი (ან მიმდინარე) ერთობლივი კვლევის/ინოვაციური პროექტების ჩამოყალიბებისთვის და უნდა მოიცავდეს აღწერას, თუ როგორ გადაიყვანს Twinning-ი ამ კვლევას ახალ ეტაპზე, მისი მოცულობის და/ან კვლევის/ინოვაციური პარტნიორობის გაფართოების მეშვეობით.

Bottom up - მოსალოდნელი შედეგები

- გაფართოების ქვეყნებში მოწინავე გამოცდილების შესაძლებლობებისა და რესურსების გაზრდა ევროკავშირში კვლევებისა და ინოვაციების ჯერ კიდევ აშკარა გარღვევის (ხარვეზის) დასაფარად;
- სტრატეგიული ქსელის გაძლიერება გაფართოების ქვეყნების კვლევით ინსტიტუტებსა და ევროკავშირის დონეზე მინიმუმ ორ წამყვან საერთაშორისო პარტნიორს შორის;
- გაფართოების ქვეყნიდან კოორდინატორი დაწესებულების რეპუტაციის, კვლევის პროფილისა და მიმზიდველობის, ასევე მისი პერსონალის კვლევის პროფილის გაზრდა;
- გაფართოების ქვეყნის ინსტიტუტებში მომუშავე პერსონალის კვლევის მართვის შესაძლებლობებისა და ადმინისტრაციული უნარების გაძლიერება;
- კრეატიულობის გაუმჯობესება, რომელიც მხარდაჭერილი იქნება კვლევისა და ინოვაციების თანამშრომლობის ახალი მიდგომების შემუშავებით, კვალიფიციური მეცნიერების მობილურობის გაზრდით (შიგნიდან და გარეთ).

TWINNING-შედეგები

- კოორდინატორის სამეცნიერო წარჩინებისა და ინოვაციური შესაძლებლობების სტიმულირება
- მონაწილე კვლევით ინსტიტუციებს შორის ცოდნის ტრანსფერისა და საუკეთესო პრაქტიკების გაცვლა
- წამყვანი საერთაშორისო პარტნიორების გამოცდილებისა და პრაქტიკის გამოყენება
- ახალი ან მიმდინარე კვლევითი პარტნიორობის მოძიება/ჩართვა
- კვლევის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების უნარების გაძლიერება
- პერსონალის მოკლევადიანი გაცვლა, ექსპერტების ვიზიტები, ადგილზე ან ვირტუალური ტრენინგი, სემინარები, კონფერენციებზე დასწრება, ერთობლივი საზაფხულო სკოლის ორგანიზება, გავრცელება და აქტივობები

Twining: Green Deal-მწვანე გარიგება

კონკურსის გამოცხადება: 25 აპრილი, 2023
დედლაინი: 28 სექტემბერი, 2023

საერთო ბიუჯეტი — 27 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 0,8-1,5 მილიონი ევრო

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 20 პროექტი
ხანგრძლიობა-3 წელი

კონსორციუმი: მინიმუმ ორი place-based R&I ეკოსისტემა ორი სხვადასხვა გაფართოების ქვეყნიდან. თითოეული ეკოსისტემა უნდა იყოს წარმოდგენილი ოთხი სხვადასხვა კატეგორიის აქტორის მიერ შესაძლებელია იყოს როგორც ქოლგა ორგანიზაცია ანუ უკვე არსებული კლასტერი, ისე ინდივიდუალური ორგანიზაცია თითოეული ოთხი კატეგორიიდან. კოორდინატორი: ინსტიტუცია გაფართოების ქვეყნიდან + 2 მაღალი კლასის ევროკავშირის დონეზე აღიარებული ინსტიტუცია წევრი ან ასოცირებული ქვეყნიდან.

Twining: Green Deal - მწვანე შეთანხმება

კლიმატის კვლევა;

მწვანე ტექნოლოგიები;

განახლებადი ენერგია;

მდგრადი მობილურობა;

ბიომრავალფეროვნების კვლევა;

ბუნებრივი რესურსების (მიწა, წყალი, ჰაერი) მდგრადი

გამოყენება.

შესაძლო აქტივობები

- მოკლევადიანი ვიზიტები
- ექსპერტთა ვიზიტები და მოკლევადიანი on-site ტრეინინგი
- ვორკშოპები
- კონფერენციებში მონაწილეობა
- საერთო საზაფხულო სკოლების მოწყობა
- დისემინაციის აქტივობები
- კვლევითი აქტივობები (პროექტის არაუმეტეს 30%)

Twining: Green Deal-მწვანე შეთანხმება

კონტექსტი

· კვლევასა და განვითარებაში ინვესტიციების მაქსიმალური გაზრდის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით, Horizon Europe იღებს ზომებს მონაწილეობის გაფართოებისა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების გზით. Twinning-აქციები ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია.

მოსალოდნელი (ძირითადი) შედეგები:

Twinning-ის მიზანია ქსელური საქმიანობის გაფართოება Widening -ის ქვეყნების კვლევით ინსტიტუტებსა (კოორდინატორები) და ევროკავშირის დონეზე მოქმედ უმაღლესი კლასის წამყვან პარტნიორებს შორის, რომლის ფარგლებში მოხდება დაკავშირება მინიმუმ ორ კვლევით ინსტიტუტთან ორი განსხვავებული წევრი სახელმწიფოდან ან ასოცირებული ქვეყნიდან. როგორც ასეთი, ის ეყრდნობა ქსელების უზარმაზარ პოტენციალს, რათა კვლევით ინსტიტუტებსა და პარტნიორებს შორის მიღწეულ იქნას სრულყოფა ცოდნის გადაცემისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით. Twinning-აქციების დანიშნულებაა Widening -ის ქვეყნის ინსტიტუტის კვლევითი პროფილის, ისევე როგორც მისი პერსონალის კვლევის პროფილის გაუმჯობესება, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტით Widening -ის ქვეყნის საკოორდინაციო ინსტიტუტის კვლევის მართვისა და ადმინისტრაციული უნარების გაძლიერებაზე.

EXCELLENCE HUBS-წარჩინებული ჰაბები

კონკურსის გამოცხადება: 28 სექტემბერი, 2023
დედლაინი: 24 მარტი, 2024

საერთო ბიუჯეტი — 60 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 2-6 მილიონი ევრო
ხანგრძლიობა — 4 წელი

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 12 პროექტი
ხანგრძლიობა-3 წელი

Proposals must involve at least two Widening Country R&I ecosystems, კონსორციუმი შეიძლება შედგებოდეს არაუმეტეს 20 პარტნიორისაგან.

EXCELLENCE HUBS - წარჩინებული ჰაბები

- ინოვაციური ეკოსისტემებს შორის თანამშრომლობა
- მეცნიერებისა და ბიზნესის სინერგიის გაძლიერება გაფართოების ქვეყნებში
- სინერგია სხვა პროგრამებთან

- ოთხმაგი სპირალი:

1. უნივერსიტეტები და არასაუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრები

2. ბიზნეს სუბიექტები

|3. საჯარო ხელისუფლება

4. საზოგადოების აქტორები (სამოქალაქო საზოგადოება, კულტურის აქტორები, მომხმარებლები, მედია)

https://horizoneuropencpportal.eu/sites/default/files/2022-06/bridge2horizon_vassiliki-kalodimou.pdf

EXCELLENCE HUBS

მოცულობა/სფეროები/მასშტაბი:
მოწინავე გამოცდილების ჰაბები არის European Excellence Initiative -კონკურსის ნაწილი, და ავსებს უნივერსიტეტებისთვის განკუთვნილ მეცნიერებაზე ორიენტირებულ Teaming-ის, Twinning-ის, ERA Chairs-ის და European Excellence Initiative-ის სქემებს, სპეციალური ინოვაციური კომპონენტით. მოწინავე გამოცდილების ჰაბები ყურადღებას გაამახვილებენ ინოვაციებზე, რაც საშუალებას მისცემს ინოვაციურ ეკოსისტემებს გაფართოების ქვეყნებში და მის ფარგლებს გარეთ დააკავშირონ და შექმნან უფრო ძლიერი კავშირები აკადემიურ სექტორსა, ბიზნესს, მთავრობასა და საზოგადოებას შორის. ეს ხელს შეუწყობს რეალური ინოვაციური კულტურის შექმნას გაფართოების ქვეყნებში, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ დღის წესრიგს, და რომელიც შეესაბამება რეგიონალურ ან ეროვნულ ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიებს

EXCELLENCE HUBS-მოსალოდნელი შედეგები

1. შესანიშნავი და მდგრადი, ადგილზე დაფუნებული ინოვაციური ეკოსისტემები Widening -ის ქვეყნებში და მათ ფარგლებს გარეთ, მოწინავე მეცნიერებისა და ინოვაციების შესაბამის სფეროში
2. გრძელვადიანი ერთობლივი R&I (კვლევა & ინოვაცია) სტრატეგიები გამყარებული ევროპული მნიშვნელობის კონკრეტული სამოქმედო გეგმებით.
3. საერთო საინვესტიციო გეგმები R&I-სთვის, ინფრასტრუქტურის ჩათვლით, რომელიც სინერგიული მეთოდით იყენებს ეროვნულ, რეგიონულ და ევროპულ ფონდებს, ასევე კერძო კაპიტალს.
4. საპილოტე R&I პროექტები ერთობლივ სტრატეგიასთან ერთად და შესაბამისობაში რეგიონულ და ეროვნულ სტრატეგიებთან, კერძოდ, რეგიონალური ჭკვიანი სპეციალიზაციის ინოვაციურ სტრატეგიებთან (RIS3).
5. ახალი კომპეტენციები და უნარები მკვლევარებისთვის, მეწარმეებისთვის და სპეციალისტებისთვის R&I-ის ინტენსიური გამოყენების სფეროებში.
6. მეცნიერებასა და ბიზნესს შორის კავშირების გაძლიერება
7. ნიჭის (ტალანტების) მოზიდვის პოლუსები რეგიონებში და ქვეყნებში, რომლებიც დაწევას ცდილობენ
8. ცოდნის გადაცემის გაუმჯობესება და სამეწარმეო უნარების განვითარება.
9. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა
10. ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, და ახალი სამუშაო ადგილები.

HOP-ON-FACILITY

ჰოპ-ონ გრანტები გულისხმობს უკვე მიმდინარე პროექტებში ჩართვას. ეს კონკურსი ღიაა ჰორიზონტი ევროპის მეორე სვეტისა და EIC Pathfinder-ის თემებისა და პროექტებისთვის და იძლევა მათში ასოცირებული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ჩართვის შესაძლებლობას.

Hop On

კონკურსის გამოცხადება: 10 იანვარი, 2023
1 დედლაინი: 28 სექტემბერი, 2023
2 დედლაინი: 26 სექტემბერი, 2024

საერთო ბიუჯეტი — 40 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 0,1-0,6 მილიონი ევრო
უკვე დაფინანსებულ პროექტს ემატება 10%

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 160 პროექტი

მიზანი

- ეს არის შესაძლებლობა, R&I დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებიდან იურიდიული პირებისთვის, რომ შეუერთდნენ უკვე შერჩეულ ერთობლივ R&I ქმედებებს. იმ პირობით, რომ ასეთი ქვეყნებიდან იურიდიული პირები ამ პროექტებში ჯერ არ მონაწილეობენ

- სქემა მიზნია, რომ მომავალი ERA-ს პოლიტიკის ინკლუზიურობის ამბიცია განახორციელოს, იმით, რომ გაფართოებული ქვეყნებისა და ასოცირებული ქვეყნების კვლევით ინსტიტუტებს Horizon Europe Pillar 2 და EIC Pathfinder-ის ქმედებებში/პროექტებში ჩართავენ

ვის შეუძლია HOP-ON-ის გზით გააფართოოს თავისი პროექტი?

- ჰორიზონტი ევროპის მეორე სვეტში (ყველა კლასტერი) და EIC Patfinder -ში გამარჯვებული პროექტები, რომელთაც ჯერ არ ჰყავთ გაფართოების ასოცირებული ქვეყნიდან პარტნიორი კონსორციუმში. კონსორციუმს შეუძლია ჩართოს ასოცირებული ქვეყნიდან კანდიდატი თავის უკვე დაფინანსებულ პროექტში

The Widening Programme from the Pilar II NCPs Perspective - Vasilliki https://horizoneuropencpportal.eu/academy/widening-programme-pillar-ii-ncps-perspective 49:08

ვისთვის?



* The European Institute of Innovation & Technology (EIT) is not part of the Specific Programme

European Commission

მაგალითი

- https://ec.europa.eu/info/funding-tenders/opportunities/portal/screen/how-to-participate/org-details/999999999/project/101056939/program/43108390/details

მიზანი II: საუკეთესო ტალანტების მოზიდვა და მობილიზება

- ევროკავშირის R&I სისტემის რეფორმა და გაძლიერება;
- ინვესტიციებისა და რეფორმების პრიორიტეტიზაცია;
- გაუმჯობესებული წვდომა ბრწყინვალებაზე;
- სამეცნიერო პროდუქციის მაღალი ხარისხი და R&I შედეგების უფრო მძლავრი “გადათარგმნა" ეკონომიკაში;
- ERA-ს გაღრმავება;
- ეროვნული და რეგიონული R&I პროგრამების კოორდინაცია ეროვნული რესურსების გაერთიანებით;
- მკვლევართა მხარდაჭერა მიმზიდველი კარიერის პირობების შექმნით;
- R&I მეტი გახსნილობა;
- მოქალაქეთა ჩართულობა კვლევასა და ინოვაციაში

მიზანი II: საუკეთესო ტალანტების მოზიდვა და მობილიზება -კონკურსები:

- ERA Chairs - ERA ხელმძღვანელობები
- ERA Fellowships – ERA ფელოუშიფები
- ERA Talents - ERA ტალანტები

ERA ფელოუშიფები - პოსტსადოქტორო და ევროპული ფელოუშიფები

კონკურსის გამოცხადება: 12 აპრილი, 2023 და 10 აპრილი, 2024
1 დედლაინი: 13 სექტემბერი, 2023
2 დედლაინი: 11 სექტემბერი, 2024

საერთო ბიუჯეტი — 8 მილიონი ევრო

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 50 პროექტი

Training& Mobility Action

ERA ფელოუშიფები

ERA ფელოუშიფების მიზანია ხელი შეუწყოს დოქტორის ხარისხის მქონე მკვლევარებს, რომელთაც სურთ უნარ-ჩვევების განვითარება ტრეინინგის, საერთაშორისო და ინტერდისციპლინური მობილობის გზით, ასევე, ხელი შეუწყოს მათი პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას

ERA ფელოუშიფები

კონტექსტი:
• ეს ქმედება ეფუძნება (და შეესაბამება) MSCA Postdoctoral Fellowships 2023 აქციას.
• სამიზნე ჯგუფია Widening -ის ქვეყნების მასპინძელი ორგანიზაციები.

მოსალოდნელი შედეგები:
• ERA-ს მხარდაჭერილი სტიპენდიანტებისთვის: უკეთესი უნარები, გაუმჯობესებული კარიერული პერსპექტივები, ახალი აზროვნება, გაძლიერებული ქსელის შესაძლებლობები და გაზრდილი R&I გავლენა.
• Widening -ის ქვეყნების მონაწილე ორგანიზაციებისთვის: მკვლევარების ქარტიასა და კოდექსთან შესაბამისობა, უკეთესი ტრენინგი და ზედამხედველობა, გაზრდილი რეპუტაცია და მიმზიდველობა, ცოდნის უკეთესი შეფასება.
• Widening -ის ქვეყნებისთვის: სამუშაო პირობების და დასაქმების გაუმჯობესების სტიმულირება, ნიჭიერებისთვის მიმზიდველობის გაზრდა, პოსტდოკების რაოდენობის გაზრდა.

ERA ფელოუშიფები

სფეროები/მოცულობა:

• წარჩინებული (Excellence) მკვლევრები, რომლებიც საერთაშორისო მობილობას ახორციელებენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ან Horizon Europe -სთან ასოცირებულ ქვეყნებში ან მათ შორის.

• მკვლევარის და ბენეფიციარის მიერ ერთობლივად წარდგენილი განაცხადები აკადემიურ ან არააკადემიურ სექტორში, Widening -ის ქვეყანაში.

• ღია ნებისმიერი ეროვნების მკვლევრებისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ R&I პროექტებში, ან ევროკავშირში ჩასვლით მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან ან ევროკავშირის ფარგლებში Widening -ის ქვეყანაში გადაადგილებით.

ERA CHAIRS-ერა ხელმძღვანელობები

- ERA Chairs ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტებს ან კვლევით ორგანიზაციებს Widening ქვეყნებიდან, მოიზიდონ და შეინარჩუნონ მაღალი ხარისხის ადამიანური რესურსები გამოჩენილი მკვლევრის და კვლევის მენეჯერის ხელმძღვანელობით („ERA Chair მფლობელი“) და განახორციელონ სტრუქტურული ცვლილებები, რათა დაწინაურდნენ;
- კვლევითი ორგანიზაციებმა, რომლებიც მდებარეობენ გაფართოებულ ქვეყნებში და დაინტერესებულნი არიან ERA Chairs დაარსებით, უნდა წარადგინონ წინადადება ERA-ს პოტენციურ მფლობელთან, რომელიც უნდა იყოს გამოჩენილი მკვლევარი და/ან ნოვატორი არჩეულ სამეცნიერო სფეროში.

ერა-ხელმძღვანელობები

კონკურსის გამოცხადება: 28 სექტემბერი, 2023
დედლაინი: 7 მარტი, 2024

საერთო ბიუჯეტი — 50 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 1,5-2,5 მილიონი ევრო
ხანგრძლივობა 4 წელი

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 45 პროექტი

ჩართული ორგანიზაციები:
• დამოუკიდებელი იურიდიული პირების კონსორციუმი, შემდგარი არანაკლებ 3 MS/AC-ისგან, რომელთაგან ≥ 2 არის გაფართოების ქვეყნიდან
• კოორდინატორი გაფართოების ქვეყნიდან
• პარტნიორები როგორც აკადემიური, ისე არააკადემიური ინსტიტუტებიდან (მათ შორის umbrella ორგანიზაციებიდან)

ერა-ტალანტები

ERA Talents ფინანსდება სექტორთაშორისი მობილობა კვლევებისა და ინოვაციების გაძლიერებისთვის ერთ ან მეტ მონაწილე ორგანიზაციაში.
ERA Talents მონაწილეები: ორგანიზაციები, ინდივიდუალური პირები
ERA Talents დაფინანსება შეიძლება მოიცავდეს: ადმინისტრაციულ ხარჯს, ტრეინინგის ხარჯს, მგზავრობის ხარჯს, დასაქმებული/განთავსებული მკვლევარის ხელფასს, ასევე დისემინაცია-კომუნიკაციასა და ცოდნის გადაცემასთან დაკავშრებულ ხარჯებს

- Dissemination and Exploitation Support Facility - გავრცელებისა და გამოყენების მხარდაჭერის შესაძლებლობები

კონკურსის გამოცხადება: 26 აპრილი, 2023
დედლაინი: 28 სექტემბერი, 2024

საერთო ბიუჯეტი — 5 მილიონი ევრო
თითოეული პროექტისათვის გამოიყოფა — 1-5 მილიონი ევრო

სულ დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა — 1 პროექტი

ჩართული ორგანიზაციები:
• დამოუკიდებელი იურიდიული პირების კონსორციუმი, შემდგარი არანაკლებ 3 MS/AC-ისგან, რომელთაგან ≥ 2 არის გაფართოების ქვეყნიდან
• კოორდინატორი გაფართოების ქვეყნიდან
• პარტნიორები როგორც აკადემიური, ისე არააკადემიური ინსტიტუტებიდან (მათ შორის umbrella ორგანიზაციებიდან)

- Dissemination and Exploitation Support Facility - გავრცელებისა და გამოყენების მხარდაჭერის შესაძლებლობები

კონტექსტი:
• ცოდნის გავრცელების გაუმჯობესება, ტექნოლოგიების მიღება და შედეგიანობის ეფექტის უზრუნველყოფა ფუნდამენტურია იმისთვის, რომ მკვლევრები და მათი ინსტიციები დაეყრდნონ და დააფასონ უახლესი ხელმისაწვდომი ცოდნა.

მოსალოდნელი ძირითადი შედეგები:
• გავრცელებისა და გამოყენების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის, კომისიის D&E (Dissemination/Exploitation) სტრატეგიისა და შესაძლებლობების უკეთ გაცნობიერების გზით, რაც სტრატეგიას შეუძლია შესთავაზოს ბენეფიციარებს widening-ის მოქმედებების შედეგად;
•ბაზარზე ორიენტირებული მიდგომის მეშვეობით, ბენეფიციარების ხელშეწყობა გავრცელებაში და შედეგების გამოყენებაში;
• უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესება D&E-ს სფეროში, ცოდნის გადაცემაში და IP მენეჯმენტში, მკვლევარებისთვის და widening-აქციების ბენეფიციართა მმართველი პერსონალისთვის, რათა შეძლონ თავიანთი ვალდებულებების შესრულება Horizon Europe -ის ტიპიური საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, მათ შორის პროექტის დასრულების შემდეგ;

მიზანი III: ევროპული კვლევისა და ინოვაციების სისტემის რეფორმირება და გაძლიერება

- ეს არის ჰორიზონტი ევროპის ახალი ამბიცია - მაქსიმალურად გაზარდოს ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსების გავლენა ევროპულ მეცნიერებაზე, ეკონომიკასა და ფართო საზოგადოებაზე.

სასარგებლო ბმულები:

https://horizoneuropencpportal.eu/academy/widening-programme-pillar-ii-ncps-perspective

https://research-and-innovation.ec.europa.eu/events/horizon-europe-info-days/era-and-widening_en

https://www.youtube.com/watch?v=xlrSQKG9eps

https://www.youtube.com/watch?v=wdK-P91UtSo

https://horizoneuropencpportal.eu/sites/default/files/2022-06/bridge2horizon_vassiliki-kalodimou.pdf

GEP

https://erc.europa.eu/sites/default/files/document/file/GEPs_in_HE_guidelines.pdf

ეროვნული ოფისის გაფართოების სვეტის ეროვნული საკონტაქტო პირი პროფ.

დოქტ.

ნინო როდონაია

nrodonaia@rustaveli.org.ge

მადლობა ყურადღებისთვის :)

European Commission